ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი ვ. ს. სოლოვიოვის „დოსტოევსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამი სიტყვის“ იტალიური გამოცემის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა

2021 წლის 5 სექტემბერს ვატიკანში, ტევტონური კოლეჯის შენობაში, ვ. ს. სოლოვიოვის „დოსტოევსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამი სიტყვის“ იტალიური გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა.

რომის აკადემიის „Sapienza e Scienza“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მოსკოვის საპატრიარქოს

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა მიიღო მინაწილეობა, რომელმაც იტალიურად თარგმნილი წიგნის წინასიტყვაობა დაწერა.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი პიეტრო პაროლინი; რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წმინდა საყდართან ა. ავდეევი; ცისტერციანცების ორდენის გენერალური აბატი მღვდელი მაურო ჯუზეპე ლეპორი.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ მაღალი რანგის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწენი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები.

მიტროპოლიტმა ილარიონმა თავის გამოსვლაში ისაუბრა თ. მ. დოსტოევსკის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე რუსული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში. იერარქის სიტყვებით, სხვა ვერცერთი მწერალი ვერ ჩასწვდა ქრისტეს პიროვნების საიდუმლოს ასე ღრმად. მართლმადიდებლური სარწმუნოებაში გაზრდილი, იგი სოციალისტური იდეებით ახალგაზრდული გატაცების შემდეგ, სახარების შესწავლით გზით შეგნებულად დაუბრუნდა მას.

მიტროპოლიტმა ილარიონმა აღნიშნა, რომ სახარება წარმოადგენს გასაღებს დოსტოევსკის შემოქმედების გასაგებად. მისთვის სახარების ტექსტის წაკითხვის განსაკუთრებული საშუალება იყო „ქრისტეს მსგავსი გმირების“ შექმნა, ისეთების როგორიცაა ბერ-მოძღვარი ზოსიმე, ალიოშა კარამაზოვი, თავადი მიშკინი და სხვები. დოსტოევსკისთან წმინდა წერილის ღრმა ცოდნა შეერთებული იყო სახალხო ცხოვრების გაგებასთან და საეკლესიო ტრადიციებში ფესვგადგმულობასთან. ეს ყველაფერი ადასტურებს დიდი რუსი მწერლის შემოქმედების უნიკალურ მნიშვნელობას, რომელიც მსოფლიო კულტურის განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს.

სსკგ-ს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა „Sapienza e Scienza“ აკადემიას, რომელმაც მოამზადა „დოსტოევსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამი სიტყვის“ იტალიური გამოცემა, ასევე გამომცემლობა Cantagalli-ს წარმომადგენლებს.

ღონისძიების დასასრულს მიტროპოლიტმა ილარიონმა კარდინალებთან პეტრო პაროლინთან და რობერტ სარასთან ისაუბრა, ასევე ინტერვიუები მისცა რიგ მედიასაშუალებებს.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88206/